№ 1/1/61 27.10 2021

ბრძანება

შპს „ევროპული სკოლის" ინკლუზიური პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

შპს „ევროპული სკოლის" წესდების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს შპს „ევროპული სკოლის" ინკლუზიური პოლიტიკის ახალი რედაქცია, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. წინამდებარე ბრძანებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული დებულების ახალი რედაქციის შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სკოლის მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის უფროსს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ევროპული სკოლის" ინკლუზიური პოლიტიკის დამტკიცების შესახებ" შპს „ევროპული სკოლის" დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N1-49/5 ბრძანება.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

სოფიო ბაზაძე
დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა"

European School LTD
შპს ევროპული სკოლა

ინკლუზიური პოლიტიკა

EUROPEAN SCHOOL LTD

გადახედვის პერიოდულობა: ყოველწლიური
შემუშავებულია: ევროპული სკოლის თანამშრომელთა მიერ
შემუშავების თარიღი: 2009 წლის სექტემბერი
ბოლო განახლების თარიღი: 2021 წლის ოქტომბერი
ბოლოს განახლდა: მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის მიერ

სოფიო ბაზაძე
დირექტორი

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

ჩვენი მისია

"ევროპული სკოლა" მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია "ევროპული სკოლის" ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. "ევროპულ სკოლაში" სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

პოზიტიური სკოლის კულტურა

სკოლის კულტურა წარმოადგენს დაწერილ და დაუწერელ წესებს, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ფუნქციონირებას. ის გულისხმობს როოგორც თითოეული ინდივიდის, ასევე კოლექტიურ კეთილდღეობას, ფიზიკური და ადამიანური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ხელს უწყობს მრავალფეროვნებას სკოლაში.

ჩვენ ვიღწვით, რათა:

- შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
- განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას.

მოცემული პოლიტიკის დოკუმენტი ეფუძნება:

- „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს;
- საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის (IB) მოთხოვნებს;

- სკოლის მიღებისა და ჩარიცხვის პოლიტიკას;
- საქართველოს კანონმდებლობას და სკოლის სხვა სამართლებრივ აქტებს.

შესავალი

სკოლის მისია საფუძვლად უდევს სკოლაში სწავლისა და სწავლების პროცესს. სკოლა უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მიღება.

სკოლის მასწავლებლებს, ადმინისტრაციას და სკოლაში დასაქმებულ თითოეულ პირს სჯერა, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა, თუ შევუქმნით შესაფერის სასწავლო გარემოს. სკოლა იღებს მოსწავლეებს მიუხედავად მათი სქესის, რასის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და რაიმე სხვა ნიშნისა.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები სკოლაში მიიღებიან თანაბარ საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით, სკოლის მიღებისა და ჩარიცხვის პოლიტიკით და სკოლის სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

პოლიტიკის მიზნები:

- შექმნას კეთილმოსურნე გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების პიროვნულ, ინდივიდუალურ და კოლექტიურ კეთილდღეობას;
- უზრუნველყოს მოსწავლეთა მხარდაჭერა მათი საჭიროებების შესაბამისად, რომელიც წინასწარ დადგენილი და შეფასებული იქნება.
- განისაზღვროს ოჯახის, მასწავლებლების, ადმინისტრაციის, სკოლის მთელი პერსონალის, მოსწავლეების როლი და პასუხისმგებლობა;
- შესაძლებლობა მიეცეს ყველა მოსწავლეს, ჰქონდეთ სრული წვდომა სკოლის კურიკულუმზე და შეფასების კრიტერიუმებზე.

მასწავლებლები, სკოლის პერსონალი და ადმინისტრაცია აცნობიერებს რომ:

- მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული საგანმანათლებლო და სწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები და მისწრაფებები.
- დიფერენციაცია და სკაფოლდინგი ხელს უწყობს ეფექტურ სწავლას.
- მოსწავლეები იძენენ ცოდნას და უნარებს სხვადასხვა გზით და სისწრაფით.
- ყველა მოსწავლე არის ნიჭიერი და გამორჩეული.
- მოსწავლეები სწავლას აგრძელებენ მთელი სიცოცხლის მანძილზე.
- სკოლის კარი ღიაა სწავლის მსურველი ნებისმიერი პირისთვის

კონფიდენციალურობა

ინფორმაცია ნებისმიერი მოსწავლის შესახებ არის კონფიდენციალური. მოსწავლის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი მოსწავლის მასწავლებლისა და სკოლის იმ თანამშრომლისთვის, რომელსაც სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად ესაჭიროება მოსწავლის შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ასევე მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის ან/და კანონმდებლობითა და სკოლის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

ნებისმიერი ინფორმაცია მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ ინახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელზეც წვდომა შეზღუდულია. ამ ინფორმაციაზე წვდომა აქვთ მხოლოდ მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის თანამშრომლებს, სკოლის მმართველ გუნდს, პროგრამის კოორდინატორებს და სკოლის მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომ სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად ესაჭიროება მოსწავლის შესახებ ინფორმაციის დამუშავება.

სკოლის პასუხისმგებლობები

სკოლა პასუხისმგებელია ყველა მოსწავლის კეთილდღეობაზე და მათი სკოლაში ადაპტაციის აქტიურ ხელშეწყობაზე. ეს პასუხისმგებლობები დელეგირებულია სკოლის მართველი გუნდიდან სკოლის დეპარტამენტების ხელმძღვანელებზე, პროგრამის კოორდინატორებზე, სკოლის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და მოსწავლეთა წარმომადგენლებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა მოსწავლის საჭიროების მხარდაჭერა. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი და მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური, რომელთაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვთ სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესში.

სკოლა, თავის სამართლებივ აქტებსა და სკოლაში მიმდინარე პროცესებში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა და მასწავლებლების სოციალურ, ემოციურ და ფიზიკურ კეთილდღეობას. ის ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს.

სკოლა ასევე უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის სტატუსის მინიჭებას/მოხსნას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და აღნიშნული სტატუსის მქონე მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.

მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური

მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის მიზანია მოსწავლეთა უფლებების დაცვა, მათ ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვა და გარემო პირობებთან ადაპტაციაში ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება.

მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური აერთიანებს: ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერს, ფსიქოლოგთა გუნდს/სპეც. მასწავლებელს, ექიმს და ლოგოპედს.

ფსიქოლოგთა გუნდი - ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. მოსწავლეებთან, მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინდივიდუალური თუ ჯგუფური კონსულტაციები ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნას, მათთვის თვითგამოხატვის საშუალების მიცემას, სპეიალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვას. ფსიქოლოგთა გუნდი უზრუნველყოფს მოსწავლეებს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს საჭირო მასალით, სხვადასხვა სახის აქტივობებით, ტრენინგებითა და შეხვედრებით, როგორც სკოლაში სწავლის, ასევე დისტანციური სწავლების პირობებში.

სპეციალური მასწავლებელი - ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, ასევე აკადემიური, ფიზიკური, სოციალური, ემოციური და სხვა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებს. ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. მუშაობისას ის იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული მოსწავლისთვის.

ლოგოპედი - ლოგოპედი სათანადო დახმარებას უწევს მეტყველებისპრობლემის მქონე სკოლის მოსწავლეებს, ასევე სკოლის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (ბაღის) აღსაზრდელებს. ლოგოპედი უზრუნველყოფს ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარებას როგორც ადგილზე, სკოლის შენობაში, ასევე დისტანციურად.

ექიმი - მასწავლებლებთან ერთად, ხელმძღვანელობს სკოლაში ფიზიკური აღზრდის სწავლებას და ღონისძიებებს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად; ზედამხედველობას უწევს სკოლაში მოსწავლეთა სწორი კვების ორგანიზებას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სისტემატურად ატარებს სანიტარულ-ჰიგიენურ პროფილაქტიკურ სამუშაოებს.

მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი

მოსწავლეთა მხარდაჭრის ცენტრის მიზანია ყველა მოსწავლეს შეექმნას თანაბარი გარემო საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისა და წარმატების მისაღწევად.

მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრში ერთიანდება:

- სწავლის ხელშეწყობის პროგრამა;
- ინგლისური ენის გაუმჯობესების პროგრამა (ELL).

მოსწავლეთა მხარდაჭერა უნდა იყოს სკოლის მთელი პერსონალის ზოგადი ვალდებულება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა თანასწორობა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა.

პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი/კლასის დამრიგებელი ვალდებულია:

- ითანამშრომლოს მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურთან და მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრთან.

- მონიტორინგი გაუწიოს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დანერვის და შესრულების პროცესს.
- აწარმოოს ჩანაწერები.
- ექვსი თვით ადრე გააგზავნოს მოთხოვნა სსსმ/ინკლუზიური მოსწავლეებისთვის საგამოცდო პროცესის სათანადოდ ორგანიზების უზრუნველსაყოფად (საერთაშორისო ბაკალავრიატის საბაზო და საშუალო (სადიპლომო) საფეხურის პროგრამებისთვის)
- სკოლაში მოსწავლის მიღებისა და ჩარიცხვის პოლიტიკის თანახმად, კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს ინფორმაცია, რომ საჭიროა წარმოადგინონ მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ან სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

მასწავლებლების პასუხისმგებლობები

- სწავლებისას გამოიყენოს ისეთი მიდგომები, რომელიც პატივს სცემს ყველა პირის ღირსებას და უფლებას, მიუხედავად მათი რასის, რელიგიური მრწამსის, ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ფიზიკური თვისებების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, ასაკის, წარმოშობის, წარმოშობის ადგილის ან ნებისმიერი სხვა ნიშნისა/გარემოებისა.
- სწორად დანერგოს პრაქტიკაში მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შექმნილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.
- შეატყობინოს კლასის დამრიგებელს, პროგრამის კოორდინატორს, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის სასწავლო თუ ფსიქო-ემოციური პრობლემების შესახებ.
- საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლოს სკოლის ფსიქოლოგთან ან/და სპეციალურ მასწავლებელთან მოსწავლისთვის დახმარების გაწევის მიზნით და მიყვეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
- მოსწავლეთა მხარდაჭერის, სასწავლო პროცესში ჩართვისა და სასწავლო გარემოში ადაპტაციის მიზნით, დაესწროს სკოლის ფსიქოლოგის სემინარებს.
- საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური შეხვედრები ჰქონდეს სკოლის ფსიქოლოგთან;
- დანიშნოს დამატებითი გაკვეთილები იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ჩამორჩნენ სასწავლო პროგრამას და ესაჭიროებათ დახმარება შესაბამის საგანში.

მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პასუხისმგებლობები:

- იმ მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელიც სწავლის პროცესში საჭიროებს სკოლის მხრიდან დამატებით მხარდაჭერასა და ხელშეწყობას, უნდა ითანამშრომლოს სკოლასთან:
- გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა და აქტიურად ჩაერთოს შესაბამისი მოსწავლის სასწავლო პროცესში.
- აცნობოს სკოლას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
- შეატყობინოს სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

- გაითვალისწინოს მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის, მასწავლებლის, პროგრამის კოორდინატორის და სკოლის სხვა უფლებამოსილი თანამშრომლების რეკომენდაციები.

მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები:

მოსწავლეთა აზრი ყოველთვის ღირებულია.

მოსწავლეს შეუძლია:

- თავისი გრძნობების გამოხატვა.
- საკუთარი საჭიროებების დაფიქსირება.
- დისკუსიებში მონაწილეობა.
- არჩევანის გაკეთება.
- იმ სერვისებით სარგებლობა, რასაც სთავაზობს მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური, მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი და ზოგადად სკოლა.

მოსწავლემ უნდა:

- გაითვალისწინოს მასწავლებლის, ფსიქოლოგის/სპეციალური მასწავლებლის მითითებები და შეასრულოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რეკომენდაციები.
- აცნობოს მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, სპეციალურ მასწავლებელს ან სკოლის ფსიქოლოგს ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომელიც ეხება მის ან სხვის ფიზიკურ, მენტალურ ან აკადემიურ კეთილდღეობას.

იდენტიფიკაცია, შეფასება და მხარდაჭერა

სკოლის მხრიდან მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა აუცილებელია, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები და პოტენციალი, დაძლიონ დასახული პროგრამა და მიიღონ შესაბამისი შეფასება. მოსწავლე არ უნდა იყოს აღქმული, როგორც დასწავლის სირთულეების მქონე, იმის გამო, რომ ენა რომელზეც საუბრობენ ოჯახში ან მათი მშობლიური ენა განსხვავდება სკოლაში სასწავლო ენისგან.

სკოლის ფსიქოლოგები უწევენ მოსწავლეებს მოკლევადიან ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვის მიზნით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნას, მათთვის თვითგამოხატვის საშუალების მიცემას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვას. სკოლის ფსიქოლოგთა გუნდი უზრუნველყოფს მოსწავლეებს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს საჭირო რესურსით, სხვადასხვა სახის აქტივობებით, ტრენინგებითა და შეხვედრებით.

თუ მოსწავლე საჭიროებს გრძელვადიან მხარდაჭერას ან კლინიკურ ზედამხედველობას, მაშინ მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური რეკომენდაციას უწევს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიმართოს შესაბამის ორგანიზაციას/დაწესებულებას და ეხმარება ასეთის მოძიებაში.

სკოლა ემხრობა იმ იდეას, რომ სკოლების ორგანიზებაში მოსწავლეების მრავალფეროვნება უნდა იქნეს აღქმული როგორც რესურსი, მოსწავლეებში კულტურათაშორისი ცნობიერების გაღრმავების საშუალება.
განსხვავებულობა უნდა განიხილებოდეს არა როგორც მოსაგვარებელი პრობლემა, არამედ როგორც შესაძლებლობა.
სკოლის რწმენით მასწავლებლების ერთობლივი მუშაობა და დაგეგმვა არის სირთულეების მქონე მოსწავლეების პრობლემების დაძლევის აუცილებელი წინაპირობა. სკოლამ და მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა შეძლონ წარმატებით სწავლა და განვითარება.

მოსწავლეთა საჭიროების იდენტიფიცირებისა და პროგრესის შეფასებისთვის სკოლა იყენებს:

- მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის და ფსიქოლოგის დაკვირვებით და შეფასებით მიღებულ ინფორმაციას.
- სტანდარტიზებულ სკრინინგის ინსტრუმენტებს, ტესტებსა და კითხვარებს.
- შესაბამისი დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას.
- ასაკის შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასებას.
- სასწავლო გეგმის მიზნებთან მიმართებაში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასებას.

ეტაპობრივი რეაგირება

სკოლა ეტაპობრივად რეაგირებს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
თავდაპირველად ხდება სკოლის რესურსის მაქსიმალური გამოყენება მოსწავლის ხელშესაწყობად, ვიდრე საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი გადამისამართება გარე სპეციალისტთან. მოსწავლის მდგომარეობის მონიტორინგი და მეთვალყურეობა მთელი პროცესის განმავლობაში ხდება მასწავლებლების მხრიდან.
პირველ ეტაპზე მასწავლებელი იყენებს დიფერენცირების ხერხებს, რათა საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს მოსწავლეს დაძლიოს სასწავლო მასალა.

სკოლის რეაგირება

სკოლა მიმართავს დამატებით ზომებს იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლებისა და ფსიქოლოგის/ სპეციალური მასწავლებლის ძალისხმევის მიუხედავად, მოსწავლეს:

- აქვს ძალიან მცირე პროგრესი ან არ აქვს საერთოდ;
- ავლენს სირთულეებს სწავლისადმი მიდგომის უნარების განვითარებაში, რაც გამოიხატება დაბალ შეფასებაში სასწავლო გეგმის ზოგიერთ სფეროში.
- ავლენს ემოციურ ან ქცევით სირთულეებს.

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შემთხვევაში (დასაბუთებული), სკოლა ხელმძღვანელობს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების შეფასების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურებით და იყენებს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის ფორმებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

სკოლამ შესაძლოა მიიღოს მოსწავლის შეფასება სპეციალიზებული საჯარო ან კერძო დაწესებულებიდან, ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/სპეციალური მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

შესაბამისი უფლებამოსილი პირებისგან/დაწესებულებებისგან მიღებული დასკვნების/რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან კონსულტაციის შემდეგ სკოლას შეუძლია უზრუნველყოს დამატებითი გარე მხარდაჭერა მასწავლებლებთან და ოჯახებთან თანამშრომლობით. ზემოაღნიშნულ უფლებამოსილ პირებს/დაწესებულებებს შეუძლიათ რჩევის მიცემა მოსწავლის შესაბამის მხარდაჭერაზე.

რეგულაციები საერთაშორისო ბაკალავრიატის და ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის

სკოლის საერთაშორის ბაკალავრიატის საშუალო საფეხურის (სადიპლომო) პროგრამის და ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის მოსწავლეები, რომლებიც აბარებენ საერთაშორისო გამოცდებს, დაექვემდებარებიან ამავე პროგრამებისთვის წინასწარ დადგენილ წესს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასების შესახებ.

პროფესიული განვითარება

სკოლა ზრუნავს მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პროფესიული უნარების განვითარებაზე, რათა მათ შეძლონ კვალიფიციური დახმარება გაუწიონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის ხელმძღვანელი, სკოლის დირექტორთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას და მათი უნარების განვითარებას ამ მიმართულებით როგორც საკუთარი რესურსით, ასევე გარე სპეციალისტების მოწვევით (საჭიროების შემთხვევაში). სკოლის მასწავლებლებს უტარდებათ სემინარები, ვორქშოპები და ურიგდებათ საჭირო საინფორმაციო მასალა, რათა მათ შეძლონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების დახმარება.

გამოყენებული მასალა

IBO (2011) Mission statement, International Baccalaureate Organization.

IBO (2014) General Regulations: Primary Years Programme, International Baccalaureate Organization,

IBO (2013-2014) PYP coordinators' handbook, International Baccalaureate Organization.

IBO (2017) Candidates with Assessment Access Requirements, International Baccalaureate Organization,

IBO (2018) Learning diversity and inclusion in IB programmes.

IBO (2013) Meeting student learning diversity in the classroom.

IBO (2015) Candidates with assessment access requirements (Middle Years Programme).

IBO (2014) MYP: From principles to practice.

IBO (2018) PYP: From Principles into Practice - Primary Years Programme

Learning and teaching

IBO (2018) PYP: From Principles into Practice - Primary Years Programme

The learning community

IBO (2018) PYP: From Principles into Practice - Primary Years Programme The learner

IBO (2020) Programme standards and practices.
Guide to Programme Evaluation, September (2020)

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის №110/ნ/№124 ერთობლივი ბრძანება.

European School LTD
მპს ევროპული სკოლა

Inclusion Policy

Review Frequency: Annual
Policy written by: ES Staff
Policy written in: September, 2009
Last review date: October, 2021
Last reviewed by: Student Wellbeing Services

Sophio Bazadze
Director

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

Our Mission

The European International School provides an exceptional education in a nurturing and academically challenging environment, inspiring each student to achieve their personal best and become an influential and socially responsible global citizen.

Our Values

Our values-driven international education is expressed through core values that are woven into every

academic and extra-curricular activity at the European International School. We actively promote four values that form the basis of everything we do. They include: ▪ Leading through innovation

- Pursuing excellence
- Growing by learning

With these values at our core, we encourage independent learning and empower students to embrace responsibility. Students at the European School learn to celebrate diversity in a spirit of understanding and tolerance that helps them become citizens of the world.

Positive School Culture

School culture refers to the written and unwritten rules that define how a school functions. It also encompasses personal and collective well-being, the effective utilization of physical and human resources, and the extent to which a school acknowledges and celebrates diversity.

Our Commitment is to:

- Offer inclusive, diverse and innovative learning communities.
- Develop, support and empower our students intellectually, creatively, socially, physically and ethically in harmony with multicultural environment
- Focus on academic excellence and integrity.
- Creating lifelong learners committed to international mindedness.

Legislation

This policy identifies all legal requirements and aims to ensure that the School is compliant with the terms of:

- Law of Georgia on General Education
- IB requirements
- The School's Admission Policy
- Georgian legislation and other legal acts of the school.

Introduction

The school mission statement underpins all learning and teaching in the school. All children are offered the opportunity to develop fully, irrespective of ethnicity, faith or social background, or gender.

The teachers, administrators, and staff of European School believe in the inclusion of all students and are committed to educate all students who can function in the classroom to their maximum potential.

The school admits students irrespective of their gender, race, disability, or special educational needs, provided that there are good prospects of meeting their needs without unduly prejudicing the education and welfare of other students.

Children with special needs will be considered for admission on an equal basis with all other children according to the criteria set out in the school's admission policy considering the suitability of the child to mainstream education and availability of resources and facilities to meet that child's needs.

Goals of the Policy

The goals of this policy are:

- To create a welcoming environment for each student that will support personal and collective well-being.
- To ensure that the learning support requirements of students are identified early, assessed, and provided for.
- To clarify expectations of families, teachers, administration, and students.
- To identify staff roles and responsibilities.
- To enable all students to have full access to all elements of the school curriculum and assessment policy.

Teachers, staff and administration acknowledge that

- Students have different educational and learning needs, abilities, profile and aspirations.
- Differentiation and scaffolding promote effective learning.
- Students gain knowledge and skills at different rates through different means.
- Students are all capable and unique.
- Students are lifelong learners.
- The school is welcoming to all students.

Confidentiality

European School treats all information about a student as confidential. Any communication regarding a student's learning support status will be retained within the student's personal file, access to which is restricted to Senior Management, programme coordinators, and the Student Wellbeing services team. Data retained by the school on any student will be kept confidential. Only through consultation with the parent/guardian will information and/or advice be communicated to the teachers and staff directly responsible for the education of the student.

Responsibilities of the School

The School is responsible for the well-being of the students together with actively enabling them to join the School.

These responsibilities are delegated from the School's Executive and Senior Leadership Team to Heads of Departments, programme coordinators and appropriate members of the staff and representatives on student side to

ensure support for students who require special arrangements. To ensure that all students have equitable access to learning, opportunities for achievement, and the pursuit of excellence in all aspects of their educational programmes the European School established Student Support Centre (SSC), and Student Wellbeing services. The purpose of these services is to nurture students' mental, physical and psychological development and well-being.

The school demonstrates in its systems, processes and policies attention to the social, emotional, and physical wellbeing of its students and teachers. The school promotes open communication based on understanding and respect.

The school also ensures the granting / revoking of the status of accused/convicted students in the general education management information system and the implementation of measures provided by the Georgian student for the provision of public education under the legislation of Georgia.

The Student Wellbeing Services

The aim of the Student Wellbeing services is to protect children's rights, promote their physical, psycho-emotional health and wellbeing and support adaptation to school environment, in order to help students achieve best of their potential.

Counselors/psychologists–provide assessment, support, intervention and monitoring of students' emotional, social, cognitive development, academic achievement, and wellbeing, promote positive behaviour and mental health, create a safe and nurturing environment for students to thrive and develop. Collaborate with teachers, parents, and other educators to discuss, design, and implement specific interventions based on students' individual needs.

Speech and Language Therapist - diagnoses, advises about, and offers speech and language therapy to help students.

School Doctor – provides first aid to students together with the teachers, guides a physical education program, promotes events for raising awareness about healthy lifestyle, stimulates correct eating habits among students and monitors the appropriate sanitary-hygienic practices which include taking preventive measures.

Special Education Teacher - supports students with special academic, cognitive, physical, social and emotional needs, modifies general education curriculum, creates individual educational plans and works using unique and individual approaches with each student to make sure that students' individual needs are met.

The Student Support Centre (SSC) comprises Language Service - English as Additional Language (EAL) and Learning Support Programmes

Support for the students is expected to be a general duty of all staff and students with a specific focus on promoting equality.

Responsibilities of the Programme leadership team /Homeroom Teachers

- Support students' social, emotional and physical well-being.
- Work collaboratively with the school's Well-being Services and Student Support Center, to support students with learning, emotional and social needs.
- Monitors proper implementation of Individualized Education Plan designed for students with educational needs
- Submit requests for inclusive access arrangements six months prior to an examination session (for the Diploma Programme and the Middle Years Programme).
- Maintain records.
- At enrollment according to the Admission Policy, advise parents of the programme requirements to ensure that they provide key documents regarding the child's diagnosis or difficulties or provide related information in appropriate fields of admission documentation.

- Homeroom Teachers will spend at least 10-minutes each day with the class to maintain pastoral care. When the need arises, individual appointments can be scheduled to meet with students personally to provide support for inschool learning.

Responsibilities of the Teachers

- The teacher teaches in a manner that respects the dignity and rights of all persons without prejudice as to race, religious beliefs, color, sex, sexual orientation, physical characteristics, disabilities, age, ancestry, or place of origin. ▪ The teachers are responsible for prescribing and implementing instructional programs and evaluating the progress of students.
- To immediately report any concerns regarding student's academic challenges, safety, physical or psychoemotional issues to parent, leadership team or/and Student Wellbeing Services.
- To follow the advice given through IEP's and collaborate with a SEN teacher and/or counselor/psychologist.
- Attend training, workshops, webinars, seminars provided by the Student Wellbeing team that will support their professional development.
- Use psychological counseling, advice or support by a counselor/psychologist.
- Appoint additional lessons for those students who need support to catch up with the curriculum.

Responsibilities of the Parents

Parents of children with learning support requirements and special educational needs are treated as partners. They should be supported to be able to:

- Recognize and fulfill their responsibilities as parents and play an active role in their child's education.
- Have knowledge of their child's entitlement within the policy.
- Have access to information, advice, and support.

To make communication effective with the school, parents should:

- Provide all documents to the school regarding their child's learning support requirements. ▪ Communicate with the school any changes regarding those requirements.
- Take into consideration all the recommendations given by the student well-being service or leadership team.

Responsibilities and Rights of Students

Student's views are always valuable. Students are allowed to:

- Express their feelings and their needs.
- Participate in discussions.
- Indicate choices.
- To use the support provided by Student Wellbeing services or Student Support Center.

Students are responsible to:

- To follow IEP and teacher's guidance.
- Report to teacher, leadership team, SEN teacher, or counselor/psychologist any concerns regarding their/others physical, mental, or academic well-being.

Identification, Assessment and Support

Support and/or access required enable some students, who have the aptitude to meet all curriculum and assessment requirements, reach their full potential in learning and assessment.

Children must not be regarded as having a learning difficulty solely because the language or form of language of their home is different from the language in which they will be taught.

Counselors/psychologists at European School provide short-term individual and group counseling to address mental, and emotional concerns that may be impacting students' learning and their well-being. If a student requires long-term support or clinical care, the Student Wellbeing services will recommend parents to seek support outside the school and will assist with locating resources outside of school to help support the student.

The European School supports the premise that schools should be organized in such a way that student diversity of all kinds can be included as a resource, seeing individual differences not as problems to be fixed, but as opportunities for enriched learning.

Diversity is a positive resource with regards to what it means to be internationally minded and interculturally aware.

The European School believes that collaborative planning by all teachers who are part of a student's education at all points along the learning continuum is essential in supporting students with difficulties. The European School believes that the school and parents must work collaboratively to ensure that students with learning support requirements are able to progress.

To identify and assess the students needs we will use:

- Evidence obtained by teacher, counselor/psychologist, and special-education teacher through observation/assessment.
- Standardised screening and assessments tools, tests and questionnaires.
- Working with outside agencies including medical professionals.
- Assessing the child's performance against age related expectations.
- Monitoring the pupil's progress in relation to objectives of the Curriculum.

Phased Response

European School will adopt a phased response to meeting diverse learning needs that requires the initial use of classroom and school resources before referring the student to a specialist or to encourage parents to have their child assessed/examined by external health care professionals. Early concerns Student progress will be constantly monitored by teachers. Concerns raised by teachers, counselors/psychologists and/or parents will be addressed initially through differentiation within the classroom. In a differentiated classroom, teachers: ▪ Differentiate content. Content differentiation varies what is taught and how it is taught.

- Differentiate process. It involves providing students with varied opportunities to process or make sense of the content.
- Differentiate products. It involves allowing students to show, in varied ways, what they know, understand and are able to do.

School action

Additional school action will be triggered if a concern is registered regarding a student, backed by evidence, who despite differentiated classroom strategies: ▪ Make little or no progress.

▪ Shows signs of difficulty in developing Approaches to Learning (ATL) skills, which result in poor grades in some curriculum areas.

▪ Presents emotional or behavioral difficulties, which are not mediated by the behavior management techniques employed by the school.

▪ Has diagnosed learning differences or impairment.

In some cases, outside professional support from health care services may already be involved with the student. The programme coordinator will contact them. If authorized by the parents or legal guardians, support for the student will be discussed and action taken.

In some cases, if the student already has an Individual Educational Plan (IEP). The programme

coordinator or the counselor/psychologist will communicate with the parent or legal guardian, the recommendation of the IEP to the teachers and staff.

Individualized Educational Plan (IEP)

The school receives assessment from specialized public or private agencies, based on which, the school's Wellbeing Services create an IEP for the student, or the school receives an IEP from specialized public or private health agencies. Based on the IEP, Student Wellbeing Services in cooperation with teachers and family, support the child through the learning process.

Inclusive Access Arrangements

Ongoing assessments will be differentiated according to the teachers. For major examinations, IB external and internal assessment, the IB authorizes the school, under certain conditions, to proceed to inclusive access arrangements regarding examinations. In any case, a professional assessment provided by a healthcare professional(s), within the last two years, must be provided to the school and to the IB organization. No special arrangements will be done without these documents and only the IB is authorized to allow inclusive access arrangements for assessment.

Requests for inclusive access arrangements must be submitted to the IB Organization by the Diploma Programme coordinator six months prior to an examination session, that is, by 15 November for candidates registering for the May examinations session and by 15 May for candidates registering for the November examinations session.

Professional Development

To enhance the professional capacity of teachers and staff to support students with inclusive arrangements the Head of Student Wellbeing Services liaises with the Director to review staff skills related to SEN, behavior and student emotional well-being and to ensure there is a good balance of training to enhance the skills of all staff. Staff are encouraged to observe proper inclusive practice within the school.

Glossary of Terms

ATL: Approaches to Learning - skills developed by the students that allow them to achieve inquiry based learning.
Remedial Classes: Additional classes in Mathematics, English and Science that support students that are identified as struggling to achieve required standards.
Academic Tutoring: Individual instruction by teachers after school hours authorised by parent/guardian and the school, which carries an additional charge payable to the school.
Teacher – advisor: A teacher the student has been paired with that they meet when needed to discuss issues and assist in developing ATL skills and any other matter within the teacher-advisor's capability to support such need.
IEP: Individual Educational Plan - available from health care professionals once a student is diagnosed as having special educational needs.
ELL: English Language Learner

Bibliography

IBO (2011) Mission statement, International Baccalaureate Organization.

IBO (2014) General Regulations: Primary Years Programme, International Baccalaureate Organization, IBO (2013-2014) PYP coordinators' handbook, International Baccalaureate Organization.

IBO (2017) Candidates with Assessment Access Requirements, International Baccalaureate Organization,
IBO (2018) Learning diversity and inclusion in IB programmes. IBO (2013) Meeting student learning diversity in the classroom.
IBO (2015) Candidates with assessment access requirements (Middle Years Programme).
IBO (2014) MYP: From principles to practice.
IBO (2018) PYP: From Principles into Practice - Primary Years Programme
Learning and teaching
IBO (2018) PYP: From Principles into Practice - Primary Years Programme
The learning community
IBO (2018) PYP: From Principles into Practice - Primary Years Programme The
learner
IBO (2020) Programme standards and practices.
Guide to Programme Evaluation, September (2020)

Order №110 / N / №124 of the Minister of Corrections and Probation of Georgia and the Minister of Education and Science of Georgia of September 1, 2016